



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 18 მაისი

**დისციპლინური საქმე №32/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2021 წლის 25 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 2 აპრილის №111/32-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის არაკომპეტენტურობაზე, კერძოდ მისი განმარტებით იგი არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს, თუმცა მიუხედავად ამისა მოსამართლემ მისი მონაწილეობით განიხილა საქმე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 28 აპრილს, --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის - --- მიმართ, თანხის დაკისრების (--- აშშ დოლარი) მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, იმ მიზეზით, რომ სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის განჩინებით, --- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ძალაში დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

საქმეს აქვს დასრულებული/დაარქივებულის სტატუსი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, „თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე“. მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქმის განხილვის ყველა ეტაპზე (სამივე ინსტანციის სასამართლოში) საჩივრის ავტორი სარგებლობდა სათანადო მოპასუხის სტატუსით.

კონკრეტული საკითხის შეფასება მოსამართლის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2021 წლის 25 მარტის №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი